## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1613

ქ. თბილისი "05" "11" 2007წ.

### საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის აღაიანი-იგოეთის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის № 154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე №40; 30.10.07 „E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის აღაიანი-იგოეთის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები";
2. ამ ბრძანების პირველი პუქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მოქმედების ვადა – უვადო;
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი.

დავით ჩხეტიანი

მინისტრი

*ეგზავნება:* ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს